ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 01 დეკემბრის №01-09/38

ბრძანების დანართი №1

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის

უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1
მუხლი 2. ცენტრის ფუნქციები 1
მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და მართვა 2
მუხლი 4. დასკვნითი დებულებები 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - ,,ავიცენა” ან “უნივერსიტეტი”) უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდეგში - „ცენტრი“ ან „უპგ ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ფუნქციის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული დახელოვნების მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების განხორციელებას.

1.2. უპგ ცენტრის საქმიანობის **მიზანია** უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის კვალიფიკაციის ამაღლების, უწყვეტი პროფესიული გადამზადების პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება, ამ მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება.

1.3. უპგ ცენტრის **ამოცანაა** უნივერსიტეტის, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების და რეგიონის სამედიცინო, უმცროსი სამედიცინო და აკადემიური პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავება, უნარ–ჩვევების შენარჩუნება და გაუმჯობესება. ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავება-განხორციელებას.

1.4. უპგ ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ამ დებულებით, ცენტრის თანამშრომელთა თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობებით, შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ცენტრის ფუნქციები

2.1. <u>ცენტრის ფუნქციებია:</u>

ა) ექიმების, უმცროსი სამედიცინო და აკადემიური პერსონალის მომზადება-გადამზადებისთვის მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით შრომის ბაზრის კვლევა, უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტუალურ მიმართულებების დასახვა და ცენტრის განვითარების გეგმასთან ერთად დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორისთვის წარდგენა;
გ) უნივერსიტეტის და მისი პერსონალის რესურსების, რეგიონული საჭიროებებისა და სამეცნიერო აქტუალობის გათვალისწინებით უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებების შემუშავება;
დ) ცენტრის ინსტიტუციური განვითარების, პროფესიული მზადების ახალი პროგრამებისა და სასწავლო კურსების დანერგვის მიზნით, მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე საერთაშორისო, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
ე) სხვა ინსტიტუციებთან ერთობლივი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება-დანერგვა-განხორციელების მიზნით მოლაპარაკებების წარმოება;
ვ) უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა, უპგ სისტემის განვითარებაში უნივერსიტეტის პერსონალის/სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა;

ზ) უნივერსიტეტის აკადემიური, სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებით, სპეციფიური პროგრამების შემუშავება, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა სემინარების, ტრენინგების, სასწავლო და სასერთიფიკაციო კურსებისა და ვორქშოფების დანერგვა-განხორციელება;

თ) ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავება და განვითარება;

ი) უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განსახორციელებლად ტრენერების შერჩევა და მათი მოწვევის ინიცირება რექტორთან;

კ) პროგრამის დასრულების შემდეგ, რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მსმენელებზე პროგრამის/სასწავლო კურსის/ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტის - სერტიფიკატის დამზადებისა და გაცემის ორგანიზება;

ლ) ცენტრის პროგრამების/სასწავლო კურსების პოპულარიზაციაზე ზრუნვა;

მ) უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ორგანიზება;

ნ) უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების/სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის შეფასება;

ო) უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;

პ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოდიფიცირების თაობაზე რეკომენდაციების გაცემა, კომპეტენციისა და ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით;

ჟ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და მართვა

3.1. უპგ ცენტრის სტრუქტურა (ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობები) წარმოდგენილია ცენტრის ხელმძღვანელის და ცენტრის სპეციალისტის შემადგენლობით. პერსონალის შემადგენლობის (საშტატო განრიგის) ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.

3.2. უპგ ცენტრის პერსონალი (ხელმძღვანელი, სპეციალისტი) თანამდებობაზე ინიშნებიან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და მათთან შრომითი ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3. ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობა (თანამდებობრივი ინსტრუქცია) მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

3.4. უპგ ცენტრი ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, ხოლო ცენტრის პერსონალი ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

3.5. უპგ ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება კონკრეტული მიმართულებით ტრენინგების/კურსების/სემინარების წარმართვის მიზნით ტრენერების მოწვევა.

3.6. ცენტრის ორგანიზებით ტრენერების მოწვევის და მათთან შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3.7. <u>**ცენტრის ხელმძღვანელი:**</u>

ა) ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს ცენტრის საქმიანობას, განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე, პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან და ეფექტურ შესრულებაზე, მონაწილეობს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

ბ) ხელმძღვანელობს ცენტრის მიერ მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას ექიმების, უმცროსი სამედიცინო და აკადემიური პერსონალის მომზადება-გადამზადებისთვის; ასევე ფართო საზოგადოებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების/სასწავლო კურსების შემუშავებას, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სემინარების, ტრენინგების, სასწავლო და სასერთიფიკაციო კურსებისა და ვორქშოფების დაგეგმვა-განხორციელებას;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევას, სახავს უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტუალურ მიმართულებებს და ცენტრის განვითარების გეგმასთან ერთად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

დ) ცენტრის ინსტიტუციური განვითარების, პროფესიული მზადების ახალი პროგრამებისა და სასწავლო კურსების დანერგვის მიზნით თანამშრომლობს საერთაშორისო, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ე) ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

ვ) აწარმოებს მოლაპარაკებებს და უზრუნველყოფს სხვა ინსტიტუციებთან ერთობლივი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება-დანერგვა-განხორციელებას;

ზ) უნივერსიტეტში ნერგავს უწყვეტი განათლების სისტემას, უზრუნველყოფს უპგ სისტემის განვითარებაში უნივერსიტეტის პერსონალის/სტუდენტების ჩართულობას;

თ) უნივერსიტეტისა და მისი პერსონალის რესურსების, რეგიონული საჭიროებებისა და სამეცნიერო აქტუალობის გათვალისწინებით, შეიმუშავებს წინადადებებს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების დანერგვაზე და განსახილველად წარუდგენს რექტორს;

ი) უზრუნველყოფს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების (ტრენერების) მოძიებას, შერჩევას და რექტორისთვის კანდიდატების წარდგენას;

კ) ქმნის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის (ტრენერების) ბაზას;

ლ) ორგანიზებას უწევს პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის/კურსის მსმენელებზე პროგრამის/სასწავლო კურსის/ტრენინგის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტის - სერტიფიკატის დამზადებას და გაცემას, რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

მ) ზრუნავს უპგ ცენტრის პროგრამების/სასწავლო კურსების პოპულარიზაციაზე;

ნ) ორგანიზებას უწევს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესს;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს მიმდინარე პროგრამების განხორციელების ეფექტურობას, შეიმუშავებს გაუმჯობესების ღონისძიებებსა და წინადადებებს და წარუდგენს რექტორს;

პ) კოორდინირებას უწევს და აკონტროლებს ცენტრის პერსონალის მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის ჯეროვან შესრულებას, შინაგანაწესისა და უნივერსიტეტში დამკვიდრებული ეთიკური სტანდარტების დაცვას, წარუდგენს რექტორს წინადადებებს ცენტრის პერსონალის წახალისებისა და მათთვის დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

ჟ) მონაწილეობს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში;

რ) საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს და ახორციელებს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციისკენ მიმართული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებს;

ს) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს; ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს მიმდინარე და დასრულებული პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შესახებ, ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშებს წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს;

ტ) უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოსთვის ამზადებს რეკომენდაციებს უნივერსიტეტის ბიუჯეტში უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების განაწილების შესახებ;

უ) თავისი კომპეტენციისა და ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოდიფიცირების თაობაზე;

ფ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.8. <u>ცენტრის სპეციალისტი:</u>

ა) დახმარებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელს ცენტრის ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვას, მონაწილებს უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში;

გ) მონაწილეობს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების ადმინისტრირებაში და ხელს უწყობს ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას;

დ) მონაწილეობს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის (ტრენერების) ბაზის შექმნაში;

ე) ასრულებს ცენტრის წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, ცენტრის ხელმძღვანელის დავალებების შესაბამისად.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. უპგ ცენტრის დებულებას ამტკიცებს რექტორი და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

4.2. ცენტრის პერსონალი (ხელმძღვანელი, სპეციალისტი) ვალდებულია იცნობდეს წინამდებარე დებულებას და პასუხისმგებელნი არიან დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე.